საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060123827579815

ბრძანება **№-699**

ქ. თბილისი **04** / სექტემბერი / **2015** წ.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის **117**-ე კმ-ზე მდ. ცხენისწყალზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 55; 02.09.2015 საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 117-ე კმ-ზე მდ. ცხენისწყალზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№ 55; 02.09.2015) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილი (N2-12/6723; 18.08.2015); ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№ 55; 02.09.2015).

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე
№ 55

2 სექტემბერი 2015 წ.

1. საერთო მონაცემები

2. **საქმიანობის დასახელება** – შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 117-ე კმ-ზე მდ. ცხენისწყალზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა და ექსპლუატაცია.
3. **საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი** – საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N12.
4. **საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა** – ლენტეხის მუნიციპალიტეტი.
5. **განაცხადის შემოსვლის თარიღი** – 19.08.2015 წ.
6. **მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ** – შპს ,,კოქს კონსალტი" GMBH.

2. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები:

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარატამენტის მიერ, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 117-ე კმ-ზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გზშ-ს ანგარიშის თანახმად:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფელ სასაშთან, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 117-ე კმ-ზე. უახლოესი დასახლებული პუნქტი არის სოფელი სასაში, რომელიც საპროექტო ხიდიდან 2 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

არსებული ხიდი ვერ უზრუნველყოფს ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საჭიროა ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა. სამშენებლო მონაკვეთი გადის დაუსახლებელ ტერიტორიაზე.

სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო კვლევა-ძიების პროცესში შეკრებილ იქნა ყველა ის მონაცემი, რომელიც აუცილებელი იყო საპროექტო სამუშაოებისათვის. შესწავლილ იქნა დაგეგმილი სახიდე გადასასვლელის განთავსების ტერიტორია; მდინარის რეჟიმი; ახლომდებარე სამშენებლო კარიერები; მდინარეზე აგებული ნაგებობები, მათი საექსპლუატაციო პირობები და თავისებურებები; ფლორა; ფაუნა და სხვა.

აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით შერჩეულ იქნა ხიდის მშენებლობის ოპტიმალური ტერიტორია, რომელსაც ნაკლები დატვირთვა აქვს გარემოზე, კერძოდ: ახალი სახიდე გადასასვლელი აშენდება არსებულის ნაცვლად. აღნიშნული ტერიტორიაზე არ არის განთავსებული საქართველოს ,,წითელ ნუსხაში" შეტანილი მცენარეთა და ცხოველთა სახეობები.

სამშენებლო დერეფნის 450.1 კვ. მ მიწის ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული საატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდს. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო იქნება 10 ძირი მურყანის ხის მოჭრა. აღნიშნული საკითხი საქმიანობის განმახორციელებლის მიერ შეთანხმებული იქნება სსიპ ეროვნულ სატყეო საააგენტოსთან.

საველე კველევების პერიოდში საპროექტო ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი საშიში გეოლოგიური პროცესები არ ყოფილა დაფიქსირებული. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების მხრივ პოტენციური რისკის მქონე უნების სამშენებლო

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში გამოვლენის შემთხვევაში, მათი დეტალური შეფასება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და გატარდეს საჭირო ღონისძიებები.

ახალი სახიდე გადასასვლელის სიგრძე იქნება 90 მეტრი, ხოლო სიგანე 11 მეტრი. საპროექტო სიჩქარე 40კმ/სთ. გზის მონაკვეთების ტიპური განივი პროფილის მიხედვით საფარის სრული სიგანე შეადგენს 7.0 მეტრს. ხიდის სავალი ნაწილის გაბარიტი (თვალამრიდიდან თვალამრიდამდე) დანიშნულია 8.0 მეტრი სიდიდით, რომელიც მოიცავს ორივე მხარეს 0.75 მ სიგანის უსაფრთხოების ზოლებს. გარდა ამისა, პროექტირების სპეციფიკაციები მოითხოვს მისასვლელზე ყრილის გაფართოებას ორივე მხარეს არანაკლებ 1 მეტრით. საპროექტო ხიდის უფრო განიერი კვეთი გზის კვეთთან დაკავშირებულია დაახლოებით 30 მ სიგრძის გარდამავალი მონაკვეთით. არსებული სახიდე გადასასვლელი დარჩება ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობამდე და შემდეგ მოხდება მისი დემონტაჟი.

მალის ნაშენის კვეთი შედგება 12 მეტრი სიგრძის 3 ცალი წინასწარ დამზადებული ფილოვანი ფოლადისაგან შედგენილი ორტესებრი კოჭისაგან.

განხორციელებული წინასაპროექტო სტატიკური ანალიზის შეგედებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილია განაპირა და შუალედური ბურჯებისათვის ხიმინჯოვანი საძირკვლის მოწყობა.

შუალედური ბურჯების ტანი და რიგელი დანიშნული იქნა ერთთნაირი კონსტრუქციული ზომებით ყველა შუალედური ბურჯისათვის. დანიშნულია ხიმინჯის დიამეტრი 1000 მმ სიდიდით, რაოდენობა 6 ცალი შესაბამისად 10 მ და 12 მ ჩაღრმავებით.

განაპირა ბურჯები დაპროექტებულია ე.წ მაღალი როსტვეკით. დანიშნულია ხიმინჯის დიამეტრი 1000 მმ, რაოდენობა 5 ცალი, 18 მ ჩაღრმავებით. ორივე განაპირა ბურჯი არსებული ფერდების სიღრმეში გარკვეული რეზერვითაა განლაგებული, რათა შეუღლების ყრილის კონუსები არ მოხვდეს საპროექტო უზრუნველყოფის მდინარის ხარჯის ზემოქმედების ზონაში.

მშენებლობის პროცესში დასაქმებული პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა სავარაუდოდ 80-100 კაცი იქნება. მშენებლობა იწარმოებს ვახტური მეთოდით. ყოველდღიურად სამშენებლო სამუშაოებს შეასრულებს მაქსიმუმ 60 ადამიანი.

სახიდე გადასასვლელის მშენებლობა განხორციელდება ორ ეტაპად: მშენებლობა დაიწყება მდინარის ერთი ნაპირიდან. ჯერ გადაიკეტება მდინარის ერთი ნაწილი ყირლების მეშვეობით. ამ ნაწილზე ხიდის ბურჯების მშენებლობის დამთავრების შემდეგ იგივე პროცესი განხორციელდება მდინარის მეორე ნაპირისათვის. შესაბამისად მდინარის დინების შეფერხება არ მოხდება და მყარი და თხევადი ჩამონადენის სრული ხარჯი გატარებული იქნება. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში.

გზშ-ს ანგარიშში მოცემულია სავარაუდო სამშენებლო უბნის გენგეგმა და მასზე დატანილი სამშენებლო მოედნის ინფრასტრუქტურა. სამშენებლო უბნის ზუსტი ადგილმდებარეობა განისაზღვრება მშენებლობის დაწყებამდე.

მშენებლობის პერიოდში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის. ტექნიკური მიზნებისათვის წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ მოსარწყავად.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებული წყაროების წყლები. სასმელი წყლის მარაგის შესაქმნელად გამოყენებული იქნება საკვები დანიშნულების რეზერვუარები.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება 10-15 მ³ მოცულობის ჰერმეტულ ამოსანიჩბ ორმოში, საიდანაც გატანილი იქნება საასენიზაციო მანქანებით ხელშეკრულების საფუძველზე.

რადგან ბეტონის წარმოება ადგილზე არ არის გათვალისწინებული, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. თუ ტენდერის საფუძველზე შერჩეული კონტრაქტორი გადაწყვეტს ბეტონის კვანძის დამონტაჟებას სამშენებლო მოედნის მიმდებარედ, მდ. ჭანისწყლის წყალს გამოიყენებს ბეტონის ნარევის დასამზადებლად და თუ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროები (ბეტონის კვანძი) და მისი წყალმომარაგება განხორციელდება ზედაპირული წყლის ობიექტიდან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული იქნება ,,ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში'' და ,,ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტი''.

ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება, სამშენებლო სამუშაოების პერიოდში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ არ იქნება მნიშვნელოვანი.

მშენებლობისას მოსალოდნელია, როგორც არასახიფათო - ინერტული ნარჩენების, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. შავი და ფერადი ლითონების ჯართი დაგროვების შესაბამისად ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებში. სხვა სამშენებლო ნარჩენების განთავსების ადგილს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ შეთანხმდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.

სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის მოეწყობა სპეციალური სათავსი. აღნიშნული ნარჩენები დაგროვების შესაბამისად გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს.

მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალური მარკირების მქონე დახურულ კონტეინერებში და ყოველდღიურად გატანილი იქნება წყალტუბოს ნაგავსაყრელზე.

პროექტის განხორციელების ეტაპზე დაგეგმილია 100-300 მმ სისქის ნიადაგის ფენის აღება და დასაწყობება გარემოს მართვის გეგმის შესაბამისად. სამშენებლო

სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება ნიადაგის განფენა ყრილის ფერდობებზე, მიწის სამუშაოების მოცულობა არის 250 $მ^3$.

ანგარიშში აღნიშნულია, საქმიანობისას ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი და ძირითადად ტრანსპორტის მოძრაობით, მათ შორის ბეტონმრევებით (ავტომობილი) იქნება გამოწვეული. ბეტონშემრევი წარმოადგენს ყველა მხრიდან დახურულ სისტემას და მას არ გააჩნია კავშირი ატმოსფერულ ჰაერთან, შესაბამისად ატმოსფეროში მტვრის გამოყოფას ადგილი არა აქვს. მშენებლობის პერიოდში წარმოქმნილი მტვრის ემისიების შემცირება მოხდება პერმანენტული მორწვით.

ზემოქმედების მასშტაბები მცირეა ხმაურთან დაკავშირებითაც და მითითებულია, რომ ხმაურის დონე არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

დაგეგმილი ხიდის სამუშაოების წარმოება დაშორებულია დაცული ტერიტორიებიდან, შესაბამისად ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე.

საქმიანობით გამოწვეული გარემოზე მაღალი ან საშუალო დონის ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სამშენებლო სამუშაოების დაბალი ინტენსივობის გამო კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ერთვის, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების, ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
2. დაგეგმილი ხიდის სამშენებლო სამუშაოების დაწყების და ასევე ექსპლუატაციაში შესვლისთანავე აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.
3. მშენებლობის დაწყებამდე სახელმწიფო ტყის ფონდის მართვას დაქვემდებარებულ ფართობებზე ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად და უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის შეთანხმება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან;
4. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის (მოედნის) შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს მონაცემებს აღნიშნული ბანაკის განთავსების ადგილის, მიწის კატეგორის, ნიადაგური მდგომარეობის და ფართობის შესახებ. ასევე ბანაკის სქემატური ნახაზი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ჩვენებით;
5. უზრუნველყოს ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;
6. მდ. ცხენისწყლისა და გრუნტის წყლების დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების შესრულება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N425 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამეტი"-ს მოთხოვნების დაცვით;
7. მშენებლობის პერიოდში ნავთობპროდუქტების გაჟონვის და მდინარეში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოს სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების და სხვა ტექნიკის გამართულობის ყოველდღიური მონიტორინგის განხორციელება;
8. უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის კალაპოტების დროებით გადაადგილების საჭიროებისას წყალგამტარების, წყალამრიდი და წყალსაწრეტი არხების მოწყობა და მდინარის დინების შეუფერხებლად წყლის ნაკადში საჭირო ხარჯის შენარჩუნება;
9. საპროექტო ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების (ბეტონის კვანძი) არსებობისა და მისი წყალმომარაგების მიზნით ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის აღების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად უზრუნველყოს

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში"-ს და „ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტი"-ს შეთანხმება;

10. ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში გარემოსდაცვითი მონიტორინგის მიზნით უზრუნველყოს სპეციალური პირის გამოყოფა;
11. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

შენიშვნა: გზშ-ს ანგარიშში მითითებული ყველა შემარბილებელი ღონისძიებების რეკომენდაციების შესრულების და მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება ეკისრება საქმიანობის განმახორციელებელს.

IV. დასკვნა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 117-ე კმ-ზე მდ. ცხენისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

<u>თამარ შარაშიძე</u>
(სახელი, გვარი)

ბ.ა.

(ხელმოწერა)